პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კიროველი

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის, დირექციის, კომკავშირული კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

№ 7 (300)
შაბათი
Суббота
17 მარტი
марта
1956 წ. г.
ფასი 20 კაპ.
Цена 20 коп.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# Кировец

Орган парткома, дирекции, комитета комсомола, профкома и месткома ордена Трудового Красного Знамени Грузинского политехнического института имени С. М. Кирова

## УКАЗ

### ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

### о сокращении продолжительности рабочего дня для рабочих и служащих в предвыходные и предпраздничные дни

Установить с 10 марта 1956 года для рабочих и служащих предприятий, учреждений и организаций в предвыходные и предпраздничные дни сокращенный, против нормального, на два часа рабочий день, т. е. продолжительностью шесть часов.

Председатель Президиума
Верховного Совета СССР К. ВОРОШИЛОВ.

Секретарь Президиума Верховного
Совета СССР Н. ПЕГОВ.

Москва, Кремль. 8 марта 1956 года.

## Приказ по институту о сокращении рабочего дня

Во исполнение Указа Президиума Верховного Совета СССР от 8 марта 1956 года „О сокращении продолжительности рабочего дня для рабочих и служащих в предвыходные и предпраздничные дни" дирекцией института издан приказ, по которому с 10 марта т. г. для рабочих и служащих института в предвыходные и предпраздничные дни установлен сокращенный, против нормального, на два часа рабочий день, продолжительностью в шесть часов.

По согласованию с месткомом установлен новый режим дня работы в указанные дни — с 9 час. утра до 15 часов вечера (Без обеденного перерыва).

Учебно-вспомогательный персонал переведен на шестичасовый рабочий день в предвыходные и предпраздничные дни с режимом, установленным в соответствии с графиком работы кафедры.

## განიხილეს საქართველოს კომკავშირის XXI ყრილობის შედეგები

ამასწინად ჩატარდა ინსტიტუტის კომკავშირული აქტივის კრება. კრებამ მოისმინა ამხ. დ. როგავას მოხსენება — საქართველოს ალკკ XXI ყრილობის შედეგები.

მომხსენებელმა აღნიშნა გარკვეული წარმატებები, რომელიც მოიპოვა ინსტიტუტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ამასთან ერთად მან დიდი ადგილი დაუთმო იმ ხარვეზების მხილებას, რომელიც გააჩნია მუშაობაში ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციას.

ყრილობაზე აღნიშნული თითქმის ყველა ნაკლოვანება უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში დამახასიათებელია ჩვენი ორგანიზაციისათვისაც— თქვა ამხ. როგავამ.

### ვიბრძოლოთ წარჩინებული სწავლისა და სამეცნიერო წრეებში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობისათვის

აქტივის კრებამ გაამახვილა ყურადღება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლების საკითხზე. ცნობილია, რომ ინსტიტუტში ენერგეტიკის ფაკულტეტის გამოკლებით ყველა ფაკულტეტზე მოსწრება 90% აღემატება. ენერგეტიკის ფაკულტეტზე კი სტუდენტთა საერთო მოსწრება მხოლოდ 77,7% შეადგენს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აღნიშნული ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსებზე. ამიტომ ენერგეტიკის ფაკულტეტის კომკავშირულ ორგანიზაციის საქმიანობა სამართლიანად იყო გაკრიტიკებული აქტივის კრების მონაწილეების მიერ. აკადემიური მოსწრების ამაღლების საქმეში წამყვან როლს უნდა თამაშობდნენ ჯგუფის კომკავშირული ორგანიზაციები. მაგრამ ზედმეტია რაიმე კომკავშირულ მუშაობაზე ლაპარაკი ენერგეტიკის ფაკულტეტის 282 ჯგუფში (მდივანი უთნაშვილი), სადაც მოსწრება მხოლოდ 30% აღწევს. არადამაკმაყოფილებელია კომკავშირული მუშაობა და აქედან გამომდინარე დაბალია აკადემიური მაჩვენებლები 570, 612, 613 ჯგუფებშიც. კრებაზე აღინიშნა, რომ კომკავშირის კომიტეტი და ფაკულტეტის ალკკ ბიუროები ნაკლებ დახმარებას უწევს ჯგუფების კომკავშირულ ორგანიზაციებს. კომიტეტის და ფაკულტეტის ალკკ ბიუროების წევრები იშვიათად მიდიან ადგილებზე, არ უწევენ პრაქტიკულ დახმარებას ჯგუფბიუროებს.

სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამის უკეთ ათვისებას, მათ ცოდნის გაღრმავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრთა რიცხვი მიმდინარე სასწავლო წელს გაიზარდა 50%-ით. წრეებში დამუშავებულია 327 მოხსენება. ჩატარდა ორი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, უნდა ითქვას, რომ კომკავშირული კომიტეტი და ფაკულტეტის ალკკ ბიუროები ჯერ კიდევ ცუდად ეხმარებიან მუშაობაში სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას.

### სტუდენტთა კომუნისტური აღზრდა ჩვენი მთავარი ამოცანაა

პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა ჯგუფებში ჯერ კიდევ ვერ დგას სასურველ სიმაღლეზე. ხშირია სტუდენტთა მხრივ დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები, როგორც ჩვენს ინსტიტუტში, ისე მის კედლებს გარეთაც. უკანასკნელ ხანებში სამთო ფაკულტეტის სტუდენტი სილაგაძე, სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტები ბაქრაძე, კედიაშვილი და მეფარიშვილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დაკავებულ იქნენ მილიციის ორგანოების მიერ.

სუსტ აღმზრდელობით და იდეოლოგიურ მუშაობაზე ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ რიგ ჯგუფებში სტუდენტთა შორის არის არამეგობრული დამოკიდებულება. ასე, მაგალითად, 274 ჯგუფის სტუდენტები (მდივანი სარუხანოვი) არა მარტო არ იცავენ ყოფაქცევის ელემენტარულ წესებს, არამედ შეურაცხყოფასაც კი აყენებენ თანაჯგუფელ ქალიშვილებს. აქ ქალიშვილებსა და ვაჟებს შორის ხშირად აშკარა „შეტაკებებსაც" კი აქვს ადგილი. განსაკუთრებით ცუდად იქცევიან სტუდენტები ბარუჩევი, ჩიტავა, დეკანოსიძე, ამბონიძე და სხვები. ასეთივე არა სალი განწყობილებაა 324 ჯგუფის სტუდენტებს შორისაც.

სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას ემსახურება ლექციური პროპაგანდა, აგიტაციები და სხვა. ინსტიტუტის მომხსენებელთა ჯგუფის ძალებით წაკითხულია ორმოცამდე მოხსენება. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ კომკავშირული აქტივისათვის ჩატარებულია 9 ლექცია. მაგრამ, როგორც გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ლექციური პროპაგანდა ხშირად განყენებულად ტარდება, არ უკავშირდება სტუდენტთა პრაქტიკულ საქმიანობას. სააგიტაციო მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საქმისათვის მავნე და ყოვლად დაუშვებელი ფორმალიზმი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიულ ორგანიზაციასა და საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრების დახმარებით, იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებები გავხადოთ უფრო ხალისიანი და საინტერესო, ვიბრძოლოთ მათი ქმედითობისათვის.

### გავშალოთ კულტმასიური და ფიზკულტურული მუშაობა ჯგუფებში

ამხ. დ. როგავამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს კულტმასიური მუშაობის დონე. ამ სასწავლო წელს პირველად ჩატარდა სამთო-გეოლოგიური და მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტების მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადები. თითქმის ყველა ფაკულტეტის მიერ ჩატარებული იყო კულტურული დასვენების საღამოები.

კარგად ტარდება საინსტიტუტო სპორტული ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეში. ჩვენი ინსტიტუტის სპორტსმენებმა მრავალი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ არც მოხსენებაში და არც კამათში არ იყო ნათქვამი თუ როგორ დგას კულტმასიური და ფიზკულტურული მუშაობა თვით ჯგუფებში. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

### გავაძლიეროთ საშეფო საქმიანობა

აქტივის კრებაზე აღნიშნული იყო, რომ საჭიროა გარდაიქმნას საშეფო მუშაობა. კომკავშირის კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშაობის ამ უბანს. ფაკულტეტის საშეფო სექტორები უმოქმედობენ, კომკავშირის კომიტეტის სათანადო სექტორი კი ამას მშვიდად შეჰყურებს, არ ხელმძღვანელობს და არ ამოწმებს მუშაობას. კომიტეტის საშეფო სექტორის ხელმძღვანელმა ამხ. ჯანელიძემ მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში „გაიცნო" ფაკულტეტების საშეფო სექტორების ხელმძღვანელები. კრებაზე გამოითქვა აზრი ფაკულტეტის ბიუროებთან საშეფო სექტორის გაუქმების შესახებ. კომკავშირის კომიტეტმა უახლოეს დროში უნდა მიიღოს ზომები საშეფო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

* * *

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა სამართლიანად გააკრიტიკეს კომკავშირის კომიტეტის საქმიანობა. სამთო ფაკ. ალკკ ბიუროს მდივანმა ამხ. რ. საყვარაშვილმა აღნიშნა, რომ კომიტეტის ცალკეული სექტორები ნაკლებად არიან დაკავშირებულნი ფაკულტეტების ბიუროების სათანადო სექტორებთან, იშვიათად მიდიან ადგილებზე, ხშირად არ არიან მუშაობის საქმის კურსში. ასევე კრიტიკული იყო ა. ბერაძის, ჯ. სულავას და სხვათა გამოსვლები.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს ალკკ XXI ყრილობის გადაწყვეტილებები და აღნიშნულ საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

გ. ჩიგოგიძე

21 მარტს, საღამოს 7 საათზე, ინსტიტუტის ალკკ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა პოეტების სექცია აწყობს მ. კახიძის ლექსების კრებულის „სიყვარულის ასაკი" გარჩევას.

მსურველებს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა.

ალკკ კომიტეტი

## Новые правила приема в заочные и вечерние вузы

Министерство высшего образования СССР утвердило правила приема в заочные и вечерние высшие учебные заведения на 1956 год.

Из числа выдержавших вступительные экзамены преимущественным правом при поступлении пользуются граждане, характер работы которых соответствует профилю данного факультета или высшего учебного заведения, демобилизованные из Советской Армии и Военно-Морского Флота, а также выпускники вечерних школ рабочей и сельской молодежи.

При приеме в вечерние и заочные высшие учебные заведения работников государственного, партийного, комсомольского и профсоюзного аппарата будет учитываться их трудовая деятельность в настоящее время и в предыдущие годы.

Без вступительных экзаменов в число заочников принимаются лица, награжденные по окончании средней школы золотыми и серебряными медалями и работающие по специальности, соответствующей профилю факультета или высшего учебного заведения. Этой льготой пользуются также выпускники специальных средних учебных заведений, получившие дипломы с отличием, и участники Великой Отечественной войны, имеющие аттестат об окончании средней школы с отличием, независимо от года окончания учебы.

Министерство просвещения РСФСР распространило новые правила приема в заочные и вечерние вузы и на поступающих на заочные отделения педагогических институтов. Дополнительно дано указание принимать на эти отделения учителей 5—10 классов вне конкурса.

Категорически запрещено принимать на заочные отделения педагогических институтов лиц, нигде не работающих.

Поступающие в заочные и вечерние высшие учебные заведения подвергаются экзаменам по предметам, в зависимости от выбираемой специальности.

Известия от 3.III.56 г.



Журнальный отдел фундаментальной библиотеки института. Библиотекарь Н. Лотоева выдает журнал студенту энергетического факультета Д. Маградзе.